სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080163540285916

 # 2961

20 / ოქტომბერი /
2016 წ.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურისათვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 18 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ SMP160002722 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, ქარის ელექტროსადგურისთვის დაცვის მომსახურების (CPV-79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ელექტრო სადგურში ქარის ტურბინების დამონტაჟება განახორციელა შპს „ვესტასი საქართველომ“, რომელმაც მშენებლობის პერიოდში გაფორმებული კონტრაქტის თანახმად უზრუნველყო დაცვის მომსახურება. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულდა ვადაზე ადრე (სამონტაჟო სამუშაოები გრაფიკით უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 29 სექტემბერს, თუმცა დასრულდა 19 სექტემბერს. შესაბამისად, დემობილიზაციის სამუშაოებიც განხორციელდა ვადაზე ადრე) და სადგური გადადის ტესტირების რეჟიმში, კონტრაქტორის მხრიდან ხელშეკრულების გაგრძელება დაცვის მომსახურების გაწევაზე არ წარმოადგენს მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების აუცილებლობას.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ვინაიდან, ქარის ელექტროსადგური განთავსებულია გორიდან 7 კილომეტრში, ამასთან, ირგვლივ უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 1 კილომეტრში, იმისათვის, რომ არ მოხდეს ტურბინებზე რაიმე სახის ზიანის მიყენება (გარეთ არსებული კიბეების მოხსნა, ვანდალიზმი, ტურბინის გარე გარსის დაზიანება და სხვა), უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ტერიტორიას 24 საათის რეჟიმში იცავდეს შესაბამისი სამსახური.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად, რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ელექტრო სადგურში ქარის ტურბინების დამონტაჟება განახორციელა შპს „ვესტასი საქართველომ“, რომელმაც მშენებლობის პერიოდში გაფორმებული კონტრაქტის თანახმად უზრუნველყო დაცვის მომსახურება, ხოლო ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოები დასრულდა ვადაზე ადრე (სამონტაჟო სამუშაოები გრაფიკით უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 29 სექტემბერს, თუმცა დასრულდა 19 სექტემბერს. შესაბამისად, დემობილიზაციის სამუშაოებიც განხორციელდა ვადაზე ადრე) და სადგური გადავიდა ტესტირების რეჟიმში, კონტრაქტორის მხრიდან ხელშეკრულების გაგრძელება დაცვის მომსახურების გაწევაზე მისი მხრიდან აღარ წარმოადგენს ვალდებულების შესრულების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც, აღნიშნული სადგური მდებარეობს დასახლებული პუნქტიდან მოშორებით და არსებობს საშიშროება ორგანიზაციის კუთვნილი ქონების დაზიანებისა და ქურდობის, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულთან ხელშკრულების გაფორმებამდე საჭირო მოცულობის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ SMP160002722 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე